

მთავარი რეზიუმე მოდიფიკაციები და განმარტებითი შენიშვნები

2026 აკრძალული სია

ნებისმიერ დროს აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები (საშეჯიბრო და არა-საშეჯიბრო პერიოდში)

აკრძალული ნივთიერებები

S1. ანაბოლური აგენტები

- S1.1.-ში განმარტებული იყო, რომ აკრძალული სტეროიდების ეთერებიც აკრძალულია.

S2. S2. პეპტიდური ჰორმონები, ზრდის ფაქტორები, მონათესავე ნივთიერებები და მიმიტიკური საშუალებები

- პეგმოლესატიდი დაემატა ახალი EPO-მიმიტიკური აგენტის მაგალითად.

S3. ბეტა-2 აგონისტები

- სალმეტეროლის დოზირების ინტერვალები გადაიხედა, რათა თავიდან აცილებულიყო თერაპიული მოქმედების მიღმა პოტენციური ერგოგენული ეფექტები. მაქსიმალური მიწოდებული დოზა უცვლელია 200 მიკროგრამის ოდენობით 24 საათის განმავლობაში.

S4. ჰორმონალური და მეტაბოლური მოდულატორები

- 2-ფენილბენზო[h]ქრომენ-4-ონი, ასევე ცნობილი როგორც α -ნაფთოფლავონი ან 7,8-ბენზოფლავონი, დამატებულია როგორც არომატაზის ინჰიბიტორის მაგალითი. ეს სინთეზური ნივთიერება აღმოჩენილია საკვებ დანამატებში.
- 5-N,6-N-ბის(2-ფტოროფენილ)-[1,2,5]ოქსადიაზოლო[3,4-b]პირაზინ-5,6-დიამინი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც BAM15, დამატებულია AMP-აქტივირებული პროტეინის კინაზის (AMPK) აქტივატორის მაგალითად. ეს სინთეზური ნივთიერება აღმოჩენილია საკვებ დანამატებში.

აკრძალული მეთოდები

M1. სისხლისა და სისხლის კომპონენტების მანიპულაცია

- დაზუსტებულია, რომ სისხლის ან სისხლის კომპონენტების აღება აკრძალულია, გარდა 2 შემთხვევებისა, მათ შორის სამედიცინო ტესტებისა და დოპინგ-კონტროლისათვის, ან დონაციის მიზნით, რომელიც ხორციელდება იმ ქვეყნის შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, აკრედიტირებულ სადონორო ცენტრში. აღსანიშნავია რომ თრომბოციტებით მდიდარი პლაზმის (PRP) და მასთან დაკავშირებული პროცედურები აკრძალული არ არის.
- ნახშირბადის მონოქსიდის (CO) არადიაგნოსტიკური გამოყენება დაემატა აკრძალულ მეთოდებს ახალი ნაწილის, M 1.4-ის სახით. გარკვეულ პირობებში მას შეუძლია გაზარდოს ერთროპოეზი. ნახშირბადის მონოქსიდის გამოყენება დიაგნოსტიკური მიზნებისთვის, როგორცაა ჰემოგლობინის საერთო მასის გაზომვა ან ფილტვის დიფუზიური ტევადობის განსაზღვრა, აკრძალული არ არის. ამჟამინდელი ფორმულირება შეირჩა უკანონო გამოყენებისა და ბუნებრივი წვის პროცესებით (მაგ. მოწევა), გარემოთი (მაგ. გამონახოლქვი აირები) ან დიაგნოსტიკური პროცედურებით გამოწვეული მიღებისგან განსხვავების დასადგენად.

M3. გენის და უჯრედის დოპინგი

- უჯრედის კომპონენტები (მაგალითად, ბირთვები და ორგანელებები, როგორცაა მიტოქონდრიები და რიბოსომები) დაემატა არსებულ აკრძალვას, რომელიც ეხება ნორმალური ან გენეტიკურად მოდიფიცირებული უჯრედების გამოყენებას.

ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აკრძალულია შეჯიბრის დროს

აკრძალული ნივთიერებები

S6. სტიმულატორები

- 2-[ბის(4-ფტორფენილ)მეთილსულფინილ]აცეტამიდი (ფლმოდაფინილი) და 2-[ბის(4-ფტორფენილ)მეთილსულფინილ]-N-ჰიდროქსიაცეტამიდი (ფლადრაფინილი) დაემატა არასპეციფიკური სტიმულატორების S6.A სიას. ეს დაუმტკიცებელი ნივთიერებები მოდაფინილისა და ადრაფინილის ძლიერი ანალოგებია და იყიდება დანამატების სახით.

S9. გლუკოკორტიკოიდები

- გლუკოკორტიკოიდების გამორეცხვის ცხრილს ემატება შემდეგი განმარტება, როგორც შენიშვნა: „გახანგრძლივებული გამოთავისუფლების გლუკოკორტიკოიდული ფორმულაციების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გლუკოკორტიკოიდების გამოვლენადი დონეები გამორეცხვის პერიოდის გასვლის შემდეგაც, სისტემური შეწოვის გახანგრძლივების გამო.“

მედ:მიღების გზები	გლუკოკორტიკოიდი	გამორეცხვის პერიოდი
პერორალური**	ყველა გლუკოკორტიკოიდი	3 დღე
	გარდატრიამცინოლონი; ტრიამცინოლონის აცეტონიდი	10 დღე
ინტრამუსკულური***	ბეტამეტაზონი; დექსამეტაზონი; მეთილპრედნიზოლონი	5 დღე
	პრედნიზოლონი; პრედნიზონი	10 დღე
	ტრიამცინოლონის აცეტონიდი	60 დღე
ადგილობრივი ინექციები*** (მათ შორის პერიარტიკულარული, სახსარშიდა, პერიტენდინალური)	ყველა გლუკოკორტიკოიდი	3 დღე
	გარდა: პრედნიზოლონი; პრედნიზოლონი; ტრიამცინოლონი; აცეტონიდი; ტრიამცინოლონ ჰექსაცეტონიდი	10 დღე
რექტალური	ყველა გლუკოკორტიკოიდი	3 დღე
	გარდა: ტრიამცინოლონის დიაცეტატი; ტრიამცინოლონის აცეტონიდი	10 დღე

„გამორეცხვის პერიოდი“ გულისხმობს დროს ბოლო შეყვანილი დოზიდან შეჯიბრში მონაწილეობის პერიოდის დაწყებამდე (ანუ იწყება 23:59 საათიდან იმ შეჯიბრის წინა დღეს, რომელშიც სპორტსმენს მონაწილეობა აქვს დაგეგმილი, თუ WADA-ს მიერ კონკრეტული სპორტისთვის სხვა პერიოდი არ არის დამტკიცებული). ეს კეთდება იმისათვის, რომ გლუკოკორტიკოიდის ელიმინაცია მოხდეს ანგარიშგების დონეზე დაბლა.

** პერორალური მიღების გზები ასევე მოიცავს, მაგალითად, ორომუკოზალურ, ბუკალურ, ღრძილის და ენის ქვეშ შეყვანის გზებს.

*** ხანგრძლივი გამოთავისუფლების გლუკოკორტიკოიდური ფორმულირებების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს გლუკოკორტიკოიდების დონის აღმოჩენა გამორეცხვის პერიოდის შემდეგ, ხანგრძლივი სისტემური შეწოვის გამო.

გამორეცხვის პერიოდის ცხრილი ასევე შეგიძლიათ იხილოთ ხშირად დასმული კითხვების სიაში <https://www.wada-ama.org/en/prohibited-list#faq-anchor>, ასევე გლუკოკორტიკოიდების და თერაპიული გამოყენების გამონაკლისების სახელმძღვანელოში <https://www.wadama.org/en/resources/therapeutic-useexemptionglucocorticoids-and-therapeutic-use-exemptions-guidelines>

მონიტორინგის პროგრამა

დაზუსტებულია, რომ სემაგლუტიდის შარდის მონიტორინგი ასევე მოიცავს ტირზეპატიდის მონიტორინგს.

* წინა ცვლილებებისა და განმარტებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ აკრძალული პროდუქტების სიის ხშირად დასმული კითხვები შემდეგ ბმულზე: <https://www.wada-ama.org/en/prohibited-list#faq-anchor>.